საქართ. მუშარცხენა სოც.-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის მთავარ კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 45,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე 150,000 მ.; უკანასკნელზე 100,000 მ. კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ფასი 2000 მან.

№ 134

კვირა, იანვრის 29

1922 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველდღიური გაზეთი

ტრიბუნა

ორგანო მუშარცხენა სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის მთავარი კომიტეტისა.

1922 წლის 1 იანვრიდან თვეში გაგზავნით ღირს 45.000 მანეთი.

ცალკე ნომერი ყველგან 2000 მანეთი.

უფასოდ გაზეთი არავის გაეგზავნება.

ხელის მოწერა მიიღება თვის 1 რიცხვიდან.

რედაქციის და კანტორის მისამართი: ტფილისი, სასახლის ქ. № 6.

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭო ამით აუწყებს ქართველ საზოგადოებას, რომ იანვრის 19-ს სოფელ ხელთუბანში (გორის მაზრა) ვერაგულად მოკლულ იქნა მწერალი

## თედო რაზიკაშვილი,

პანაშვიდი დანიშნულია ქვაშვეთის ტაძარში კვირას იანვრის 29, დილის 12 საათზე.

ჯუმბერ დავითის ძე და თამარ ივანეს ასული ნიჟარაძეები, როსკან ოტიას ასული და ალექსანდრე გიორგის ძე ერისთავები შვილებით, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ დაუვიწყარის

## დავით ოტიას ძე ნიჟარაძის

უეცრად გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ქ. ქუთაისში ამ თვის 29. ცხედრის გამოსვენება ბინიდან საკათედრო ტაძარში დანიშნულია დილის 10 საათზე (ქვაბჭავაძის ქუჩა). პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 5 საათზე.

ღრმად დამწუხრებულნი ცოლი ნინა ბესარიონის ასული და შვილები: არჩილი, მაგდანა და ქეთო გალაშვილები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და პატივცემულ საზოგადოებას პირველი ძვირფას ქმრის, ხოლო მეორენი საყვარელ მამის (ყოფ. ქ.-რთ. კლუბის ეზოში მოვაჭრის)

## სიმონ გიორგის ძე გალაშვილის

უდროოდ გარდაცვალებას, რომლის დაკრძალვა მოხდება კვირას, იანვრის 29-ს წმ. ნინოს სასაფლაოზე გამოსვენება დილ. 10 ს. (სუდებნის შესახვევი № 6) ქვაშვეთის ეკლესიაში.

192

ღრმად დამწუხრებული ძმისწულები: გუგუ [illegible] ვლასის ძე და ვასასი მერის ასული, ძმები: ვასილ და ვლადიმერ და ელიზა, ამხანაგები ბებია ოსანა ბრეგვის ასული დარახველიძენი, მამიდები: ცაცა დარახველიძე, ნინო ბაქრაძისა, ალექსანდრა დარახველიძე ძარღვ ლაშქიშვილისა ელისაბედ ექსანიშვილისა. ბიძეები: აკაკი ბაქრაძე და გ. ექსანიშვილი აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობს გარდაცვალებას ძვირფასი

## თამარ დარახველიძისას

გამოსვენება ცხედრისა კვირას, იანვრის 29-ს 12 საათზე. საკუთარი სახლი გოგოლის ქ. № 23. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზე.

193

დაიბეჭდა და იყიდება

## ი. გრიშაშვილი

ლექსების მეორე ტომი

იყიდება:
ქ. შ. წ. მაღაზიაში.
განათლების კანტორაში.
სტუდენტთა კოოპ-ში.

# გარდამავალი პერიოდი და მასწავლებელთა საკითხი

„Бедный класс людей, называемых вообще ученым сословием“...
Ад. Смит. („Бог. нар.“ стр. 300)

„დამრიგებელთა საწყალ კლასს“ სამართლიანად უწოდებდა ად. სმიტი „ნასწავლებს“.

ად. სმიტის დებულება ისე არასოდეს არ გამართლებულა, როგორც დღეს.

მართლაც და გადავავლოთ თვალი რომელიმე საზოგადოებრივ ჯგუფს და დაისახავთ იმ სიდუხჭირეს, გაჭირვებას, ფიზიოლოგიური მოთხოვნილებათა დაუკმაყოფილებლობას, როდესაც წილად ხვდა „ნასწავლ“ ხალხს საერთოდ და მასწავლებლობას კერძოდ.

თუ ფულის კურსი შეიცვლება მივალით, როგორც ფოკუსი ეკონომიური ცხოვრებისა, ის კულტურული ავანგარდი, რომლის საუკეთესო და მოწინავე ნაწილს შეადგენს მასწავლებლობა, შეიცვლება მით უმეტეს, როგორც ფოკუსი, რომელშიც სახელდება ქვეყნის კულტურული ძალა, მისი კულტურული ძლიერება.

ზედმეტია მტკიცება იმისა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მასწავლებლის და მის ეკონომიურ უზრუნველყოფას სწავლა-აღზრდის საქმეში. ბურჟუაზიის ფილოსოფოსმაც კი იცის, რომ მშიერი მასწავლებელი პედაგოგიურ მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის კი არა, ვერავითარი საქმისათვის ვერ გამოდგება.

წინეთ, როდესაც მასწავლებელთა კადრი არ შეადგენდა დიდ რაოდენობას, როდესაც წიგნის შეჭედვაც კი არ იყო შემოღებული, მასწავლებლის მდგომარეობა გაცილებით უკეთ პირობებში იყო, ვიდრე არის დღეს.

სოკრატე თავის სიტყვაში სოფისტების წინააღმდეგ რამდენჯერმე სამართლიანად აღნიშნავდა, რომ ადამიანები, რომელნიც სიბრძნეს ასწავლიან თითონაც ბრძენები უნდა იყვნენ, და თუ ჩვენ ვნახავდით ისეთ პიროვნებას, რომელიც სიბრძნეს გაყიდდა ასეთ იაფ ფასებში, ჩვენ დავრწმუნდებოდით, რომ ის ბრძენი კი არა სულელი იქნებოდა.

და მართლაც თუ საერთოდ მისაღებია ის დებულება პოლიტიკური ეკონომიისა, რომელიც გვეუბნება, რომ დაქირავებულის დახელოვნების ხარისხი მიღებულ უნდა იქნეს მხედველობაში ხელფასის გამომუშავების დროს, მაშინ ცხადი და აშკარა იქნებოდა, რომ მასწავლებელი მეტს უნდა იღებდეს გასამრჯელოდ, ვიდრე ეს საჭიროა მისი არსებობის შენარჩუნებისა საშუალებათა მოპოებისათვის.

ძველ დროში მართლაც, რომ უფრო აფასებდნენ სწავლულობას, „სიბრძნეს“. სოკრატეს ლექციის ერთი კურსი, (ახლანდელი ტერმინებით, რომ ვილაპარაკოთ) ხაზღაურდებოდა 3,333 გირ. სტ. 6 შილ. 6 პენ.

გ ორგია დელფის ტაძარს უძღვნის საკუთარი სახის სტატუას, წმინდა ოქროსაგან ჩამოსხმულს, გიპია და პროტაგორა გარსშემორტყმული არიან სიმდიდრითა და დიდებით, პლატონიც ასეთ მდგომარეობაშია, როგორიც გადმოგვცემენ, მაგრამ მას შემდეგ საუკუნეები გადის და „სიბრძნე“ ისე გაიაფდა, რომ „ბრძენი“ სიმშილით კვდება.

ვითომ ეს ჩვენი კულტურიოსნობის, ჩვენი განათლებისა და წინსვლელობის შედეგია? არა ეს ჩვენი უკულტურობის, სიბეჩავის, უმეცრების ნაყოფია.

ის, ვისაც ვაბარებთ ხელში ჩვენს შვილებს, ჩვენს ძმებს, ჩვენს დებს, ჩვენს თავს, რომელსაც უნდა გამოუწროს სულიერი მამობა და აზიაროს მეცნიერებისა და სწავლის მონაპოვარით, სიმშილით გვიკვდება, დღითი—დღე ეწვრგიანება და „უდანაშაულო მსხვერპლი“ სამარეს უახლოვდება.

ის, ვისაც აბარია ქვეყნისა და ერის მომავლისათვის ზრუნვა, ვინაც უნდა მოგვცეს გონებრივი სიძლიერითა და ზნეობრივი სისპეტაკით აღჭურვილი მოქალაქენი, ვინ ტონი და გზა უნდა მისცეს მთელ პროგრესს, ის თვითონ მშიერია და ამ სიმშილს რაღაც „ობიექტიური“ პირობებითა ვხსნით.

მაგრამ ერთი წუთით დავივიწყოდ ბევრისაგან კვლავ თვალწუნებული „ეროვნული კულტურის“ მოშავალი, დავივიწყოდ პროგრესი და ცივილიზაცია, თავი დავანებოდ ინტელექტუალურ შემოქმედებას და სხ. და სხ. და გავიხილოდ მასწავლებელთა საკითხი გარდამავალი პერიოდის თვალსაზრისით.

ვინც ფიქრობს, რომ ახალ სოციალურ ურთიერთობას, ახალ საზოგადოებრივ ფორმაციას დაამყარებს ან რომელიმე პოლიტიკური ორგანიზაციითა და ან სამხედრო ძლიერების ზრდით, ის ან უპატიოსნო ფანატიკოსია, ან გიჟი და ბუიცი.

ვინც ფიქრობს, რომ სოციალურ მოძრაობაში ზედმეტი ბარგია კულტურული ძალა, კულტურის აყვავება, სწავლა-აღზრდის სათ ნიადაგზე დაყენება და სხ. იგი თავიდანვე, წინდაწინვე დამარცხებულია.

მოიაზროთ აქვენ რომელიმე საზოგადოება, სახელმწიფოს მასწავლებლობა და გადახედეთ რას დაემგზავსოს ის საზოგადოება, ის სახელმწიფო.

მასწავლებელთა მდგომარეობის საკითხი დღეს არ წამოჭრილა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების წინაშე. მენშევიკების დროსაც მასწავლებლობა დღენას გახიცდიდა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. დღესაც მასწავლებლობა მშიერია აგრეთვე ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით.

ამიტომ საჭიროა არა თუ ოდნავი ყურადღება და ოდნავად გაუმჯობესება მასწავლებელთა ეკონომიური პირობების, არამედ საჭიროა გენერალური ზომების მიღება და „უკეთესი“ წესით მასწავლებელთა უზრუნველყოფა.

მართალია, ძნელია ეს დღეს, მაგრამ ეს სიძნელე აუცილებლად გადალახულ უნდა იქნეს.

ვისთვის ძვირფასია კულტურული ცხოვრების წარმატება, მომავალი იდეები, ერისა და ქვეყნის საპატიო, რევოლუციის ინტერესი და სოციალისტური ძალაი იდეები, მან ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოს მასწავლებელთა მდგომარეობას და უნდა გააუმჯობესოს იგი.

კომუნისტებმა უნდა მოიგონონ ლენინის ფრაზა, რომელიც გვეუბნება „სადაც ცოდნა არაა, იქ კომუნიზმი არაა“.

ხერ. ამაღლობელი.

# ცოტა რამ დრამატიულ ხელოვნების შესახებ

ამ პატარა წერილით, მინდა მცირედად გავაშუქო და ნათელ ვყო თანამედროვე დრამატიული ხელოვნება.

რომ უფრო დავასაბუთო ჩემი შეხედულებანი ამ საკითხზე, ამიტომ მომიხდება პატარა ექსკურსია წარსულისაკენ და აგრეთვე მივაქციო მკითხველის ყურადღება იმ უდიდეს უფსკრულს, რომელიც ჰყოფს ძველ დრამას ახალისაგან.

ძველი დრამა ჰიბსენამდე იყო არსებითად გარეგანი დრამა. ის, რაც იწვევდა დრამატიულ კონფლიქტს, ისახებოდა გარეგან ეფექტებში,—ეს იყო ისეთი ძალა, რომელიც გარედან მოქმედებდა გმირზე და აყენებდა მას ამა თუ იმ დრამატიულ მდგომარეობაში, ასე რომ არსებითად დრამა ვითარდებოდა და თამაშდებოდა გმირთა გარშემო და არა თვით მათში,

ამაში უნდა ვეძიოთ მიზეზი არსებობისა იმდროინდელ წოდებულ გმირულ და ტიპიურ აქტიორთა თამაშისა, როდესაც მსახიობს საშუალება ჰქონდა თავის სურვილისამებრ ემოქმედ-ემოძრავნა საკუთარი ხელ ფეხით.

ეცლოთ სცენაზე ყოფნის „გმირულ“ ყალბ პოზაში, რომელსაც ეხლა მხოლოდ საოპერო სცენაზე თუ ხედებით სადმე. ყველგან ამაში მსახიობისა შეუძლებელი იყო, სული მისი ეყრდნობოდა მხოლოდ იმ გარეშე ფაქტორებს, რომელნიც აყენებდნენ მას დრამატიულ მდგომარეობაში. ამიტომ მას უხდებოდა განსაკუთრებით ხაზი გაესვა ამ ფაქტორისადმი დამოკიდებულებისათვის, რომელიც განსაზღვრული იყო პირველყოფილ გრძნობათა ვიწრო რკალებით: სიყვარულისა, სიძულვილისა, შურისძიებისა, სასოწარკვეთილებისა და სხ. ამოცანა მსახიობისა ძველ დრამაში შედარებით მარტივი იყო: რაც უფრო ხმა მაღლა ჰკვიროდა, რაც მეტს იწანწალებდა სცენაზე და აქნევდა ხელ-ფეხს, მით მეტი დიდებით და პატივისცემით ეპყრობოდნენ მას თანამედროვენი.

ახალი დრამა—თითქმის საესებით უარჰყოფს გარეშე ფაქტორებს. აქ ყოველივე სწარმოებს გმირის სულში—მისი გული—დასაწყისი და დასასრული დრამისა.

გმირი ბერძნულ დრამისა—სათამაშო ტიკინაა ღმერთთა ხელებში. გმირი ახალი დრამისა კი—სათამაშოა თავის საკუთარ ინსტინქტებისა, იგი—მსხვერპლია ბრძოლა—შინაგანი საკუთარ სულისა, თავის გულის უჩინარ ძალისა.

გმირს ბერძნულ დრამისას სრულის სამშვიდით შეეძლო დაეფარა სახე თვისი ნიღაბით (ნიღაბ ქვეშ ეთამაშნა), მაყურებელს არა ესაქმებოდა რა მის სულიერ მოძრაობაზე, მას ყურადღებას ს ვსებით ნთქავდა დრამის სიუჟეტი, რომელსაც ღმერთები უმზადებდნენ გმირს. ერთის სიტყვით: რაც უფრო რთული იყო ფაბულა, რაც მეტ შესაზარ—საშინელს და შეუძლებელ სურათებს გვიხატავდა დრამა მით მეტ გასავალსაც ჰპოულობდა იგი.

სულ სხვაა თანამედროვე დრამაში.

ადამიანის სულში სწარმოებს ბრძოლა და ქიდილი შეურიგებელ ელემენტებთა შორის, სული მისი მეტად რთული და რთული მექანიზმია. იგი სულ მოძრავი, მარადიულ ძიებაშია. მიზეზი დრამისა გარეშე ფაქტორებში კი არ არის, როგორც წინად, არამედ თვით გმირის სულსა და გულშია.

დრამა არის ბრძოლა დაჭრილი ინდივიდუალურ ცხოვრების გარეშე კატეგორიებთან, ე. წ. ფაქტებთან როგორიც არის: ფული, სურვილი უფლებისა, განდიდებისა და სხვა. თითქოს მთელი ძველი დრამა ტრიალებს ამ კატეგორიათა გარშემო.

ახალი—თანამედროვე დრამა გამოიხატება ინდივიდუუმის ბრძოლისა საკუთარ თავთან, ე. ი. პსიხოლოგიურ კატეგორიებთან და მოვლენებთან. ასე რომ არე ბრძოლისა იცვლება, ჩვენ ეხლა საქმე გვაქვს მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის გახაწმებ სულთან და გულთან. დრამა ხდება სოციალურ-პსიხოლოგიურ და მორალურ მოვლენათა ერთამათ.

ამიტომ გასულ საუკუნის ნახევრიდან, აქტიორთა თამაშში დიდ ცვლილებას ჰქონდა ადგილი.

ჩვენ უკვე აღარ გვიპყრობს ფაბულა, დიდი გამხაცვეულ მსახიობისა ჩვენ გვამშფოთებს, აჩეჯონებს ესთეტიკურ გემოვნებას.

ჩვენ დავივიწყეთ ძიება იმ ქრომატიზმისა, სუბიექტიურობისა და სადღეისოა, როგორც ხდება ეს თვითეულ ჩვენგანის პირად ცხოვრებაში, მცირე ცვლებანი ჩვენს ცხოვრებაში იშვიათია, სახეობელ საშიში შექსპირისეული დამამულნი გამონაკლის შეადგენენ,—ამ მიზეზით სცენიური ამარიცხი სიკვდილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლად გამარტივდა, სამაგიეროდ გაღრმავდა ჩვენი სული.

სული ადამიან სა და მისი ცვალებადობა გახდა უმთავრეს გამოსახატავ საგნად დრამატურგისა. ეხლა ჩაიხედეს საკუთარ სულში. სცენაზე საშინელებათ კი არ იქმნებ რომლისაგან თმა ყალყზე სდგება, არამედ უტყუარ გამოხატულება იმისას თუ რა ხდება ჩემი, შენი და იმის სულში.

ალ. მიქელაძე.

(დასასრული იქნება)

# ახალი ამბები

— სრულიად საქართველოს ხელოვანთა ყრილობა გაიხსნება ორშაბათს იანვრის 30-ს დილის 9 საათზე პროფკავშირთა საბჭოს მცირე დარბაზში (მუშათა სახახლე 1 სართული).

— სრულიად საქართველოს განათლების მუშაკთა ყრილობა გაიხსნება ორშაბათს იანვრის 30-ს დილის 9 საათზე პროფკავშირთა საბჭოს დიდ დარბაზში (მუშათა სახახლე 1 სართული).

— განათლების და ხელოვნების მუშაკთა ყრილობის მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა და თანამგრძნობთა ფრაქციის კრება დანიშნულია კვირას იანვრის 29-ს დღის 12 საათზე პარტიის მთავარ ბიუროში (ლორის-მელიქოვის ქ. № 1).

— ვინაიდან ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ჟურნალის „საქ. სტატისტიკური მოამბის" სისტემატიური გამოცემა ფერხდება ტეხნიკურ დაბრკოლებათა გამო, ცენტრ. სტატ. სამმართველომ გადასწყვიტა ჟურნალთან ერთად გამოსცეს ყოველთვიური სტატისტიკური ბიულეტენები, რომელშიც მოთავსებული იქნება უმთავრესად მიმდინარე სტატისტიკური მასალები.

„ბიულეტენის" პირველი ნომერი გამოვა თებერვლის პირველ რიცხვებში.

— ვალიუტის კურსი ტფილისის კერძო ბირჟაზე 26 იანვარს (ათას მანეთებში):

| | | |
|---|---|---|
| სტერლინგი | — | 1420 |
| ფრანგული ფრანკი | — | 28,5 |
| იტალ. ლირა | — | 16 |
| ოსმალეთის ქაღ. ლირა | | 285 |
| ოქრო (10 მ.) | — | 1660 |
| ოქრო (ლირა) | — | 1440 |
| დოლარი | — | 338 |
| გერმანული მარკა | — | 2,8 |
| 1000 მ. ნიკოლოზის 100 მ. | | 450 (შეკ.) |
| „ „ | 500 მ. | 250 |
| აზერბეიჯანის | — | 65% |

— ლომისი № 5. გამოვიდა სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველკვირეული ჟურნალის „ლომისის" მე 5 ნომერი შემდეგი შინაარსით: რამინდიანთ ტატო: საუკუნის მზეს. ლევან ასათიანი: სერენადა, კონსტანტინე გამსახურდია: ელიგიური დანტე. ზიგფრიდ გუბაძე: როდენის კათედრალები. ხელოვნების მარტიანე. ვასილ ბარნოვი: ხაზარია სასძლო (ისტორიული რომანი. გაგრძელება.)

— ბათომის ფორტში. 24 იანვარს ბათომის ნავთსადგურში მოვიდა გემი „სირკასი" 150 ტონით, რომელშიაც შედის სხვა და სხვა საქონელი. ამავე რიცხვში ნავთსადგურიდან გავიდა იტალიის გემი „რემო" სტამბოლისაკენ 60 ტონით. 24 იანვარს პორტში იდგა 10 გემი, 85 იალქნიანი და მოტორიანი ნავი.

— ფოთის ნავთსადგურში. ფოთის ნავთსადგური წესრიგში მოდის. ნავთსადგურის აპარატი ნორმალურად მუშაობს, შრომის ნაყოფიერება იზრდება.

— პურის შემოტანა. ფოთის ნავთსადგურში 1—25 იანვრამდე შემოტანილ იქნა ხორბლეულითა და დაფქულით 1 მილ. ნახევარი ფუთი პური.

— დღეს, იანვრის 29-ს, ხელოვნების სასახლეში, საღამოს 7 საათზე შესდგება ახალი მწერლობის კავშირის საბჭოს მორიგი მეექვსე ესთეტიკის საღამო. ალი არსენიშვილი წაიკითხავს მოხსენებას; „ალექსანდრე ბლოკ" სიტყვებს წარმოსთქვამენ გრ. რობაქიძე, ვალ. გაფრინდაშვილი, ტიციან ტაბიძე და პაოლო იაშვილი.

— ხელოვანთა კავშირი. 25 იანვარს შესდგა სრულიად საქართველოს ხელოვანთა კავშირის წევრთა საერთო კრება რომელშიაც აირჩია სოციალურ კულტურის მუშაკთა კონფერენციისათვის შემდეგი დელეგატები: ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, ვახტანგ კოტეტიშვილი, ს. აბაშელი, კ. გამსახურდია და იბოლი მუშა.

— ვალიუტის კურსი ხოპამბოლში. 12 იანვარს (ათას მანეთებში):

| | | |
|---|---|---|
| ოსმალ. ოქროს ლირა | — | 702 |
| ოქრო 20 შილინგი | — | 772 |
| „ 20 ფრანკი | — | 610 |
| „ 10 მანეთი | — | 807 |
| 20 ფრანკი ქაღ. | — | 272,5 |
| 20 იტალ. ლირა | — | 149 |
| 20 დრაჰმა | — | 128,5 |
| 20 გერმანული მარკა | — | 18,75 |
| ინგლის. გირ. სტერ. | — | 690 |
| ამერიკ. დოლარი | — | 163 |

— მოსკოვის სახელ. ბანკის გამომუშავებული კურსი 2 იანვარს.

| | | |
|---|---|---|
| ჩრდ. ამერ. დოლარი | — | 180.000 მ. |
| კანადის „ | — | 120.000 მ. |
| სტერლინგი | — | 80.000 მ. |
| ფრან. ოქროს ფრანკი | — | 35.000 მ. |
| „ ქაღალდის „ | — | 180.000 მ. |
| გერმანული მარკა | — | 1.000 მ. |

— ხალხსპორტი ფონდი. სასურსათო კომისარიატის კოლეგიამ დაადგინა სახელმწიფო ბანკისაგან გამოითხოვოს ათი მილიარდის კრედიტი დაფნის ფოთოლის, თხილის, ღვინის და სხვა საქონლის დასამზადებლად და საზღვარგარეთ გასატანათ.

— ლიტერატურული ხუთშაბათი. 2 თებერვალს ხელოვნების სასახლეში სერგიევის ქუჩა № 13 სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის მიერ გაიმართება მორიგი მეთერთმეტე ლიტერატურული ხუთშაბათი. მოხსენებას წაიკითხავს ლეო ნათაძე „ქართული ლექსთ წყობა".

— სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭომ გადასწყვიტა შუამდგომლობა აღძრას მთავრობის წინაშე მწერალ თედო რაზიკაშვილის ტფილისში გადმოსვენების და დიდუბის პანთეონში დაკრძალვის ნებართვის შესახებ.

— დღეს 12 საათზე ქაშვეთის ტაძარში სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის თაოსნობით გადახდილ იქნება პანაშვიდი მწერალ თედო რაზიკაშვილის.

# პარტიაში

დღეს, საღ. 6 საათზე ცენტრალური ბიუროს ახალგაზრდათა ოთახში დანიშნულია ახალგაზრდათა კავშირის სხდომა. გასარჩევია სასწრაფო საკითხები. ამხანაგებს ევალებათ დანიშნულ დროზე გამოცხადდება.

ახ. დრ. კავშირის პრეზიდიუმი.

# რუსეთი

მოსკოვი. იანვრის 20-ს გერმანიის სამრეწველო ოლქების ტრანსპორტის მუშებმა გამოაცხადეს გაფიცვა ეკონომიურ ნიადაგზე.

მოსკოვი. იანვრის 20 ს დაიწყო შვარცვალდის მესაათეთა გაფიცვა, რიცხვით 35 000 კაცის.

მოსკოვი. იანვრის 20-ს ბუდაპეშტში განუს ფაბრიკის მუშათა გაფიცვა მოედო სხვა წარმოებებსაც. გაიფიცნენ ელექტრონის ლამპების ფაბრიკის და ელექტრო სადგურის მუშები.

# უცხოეთი

მოსკოვი. 28 იანვარი. ვარშავის გაზეთის „ჟურნალ დე პოლონის" პარიზელი კორესპონდენტი გადმოსცემს, რომ ერთდროიმავე დროს ლოიდ ჯორჯსა და პუანკარეს შორის ინგლის-საფრანგეთის ხელშეკრულების შესახებ იყო აზრთა გაცვლა-გამოცვლა გენუის კონფერენციის შესახებ. პუანკარე დასთანხმდა დაესწროს გენუაში, მაგრამ წინასწარ წამოაყენა შემდეგი აუცილებელი პირობები: 1. გენუის კონფერენციაზე არ იქნება აღძრული საკითხი ვერსალის საზავო პირობების გადასინჯვის შესახებ; 2. კანის ყველა რეზოლიუციები მიღებული უნდა იქნეს აუცილებლად ყველა იმ სახელმწიფოებისაგან, რომელნიც მონაწილეობას მიიღებენ კონფერენციაზე. მეორე პირობა ეხება განსაკუთრებით რუსეთს და მოითხოვს, რომ რუსეთის წარმომადგენელმა ოფიციალურად განაცხადოს, რომ ის ემხრობა კანში მიღებულ პრინციპებს.

# სასწრაფო კომისიები

როგორც ვიცით, წარსულ ნოემბერში ს. ს. ს. რ. უმაღ. სახ. სამ. საბჭოს განკარგულებით შემდგარი იყო სხვა და სხვა კომისიები, რომელთაც დავალებული ჰქონდათ სასწრაფოდ გამოერკვიათ რესპუბლიკის სხვა და სხვა დარგების მდგომარეობა. ვიცით აგრეთვე, რომ თითქმის ყველა კომისიებმა უკვე წარუდგინეს უმაღ. სახ. სამ. საბჭოს თავისი მოხსენებანი.

გაზეთებში არც ამ კომისიების შედგენაზე და არც მათ დავალებაზე თითქმის არავითარი ცნობები არ ვიცოდით. მუშაობა და დავალებანი ამ კომისიებს კი შეეხებოდა რესპუბლიკის მთელ ეკონომიურ ცხოვრებას. ეჭვს გარეშეა, რომ ამისთანა კომისიების მუშაობას და მათ გამოკვლევას გაცნობილი უნდა იყოს ფართო წრეები და გაიგონ მათ, თუ რა კეთდება რომელიმე დარგში და როგორი კეთდება.

ავიღოთ მაგალითად იმისთანა საინტერესო კომისია, როგორც მთელი რესპუბლიკის ტრანსპორტის გამოკვლევის კომისია. ჩვენი რესპუბლიკის ადმინისტრაციაში რომ ტრანსპორტს დიდი მნიშვნელობა აქვს, ეს ცხადზე უცხადესია. ამის გამო საინტერესოა, თუ როგორ გამოიკვლია ამ კომისიამ რესპუბლიკის ტრანსპორტის მდგომარეობა და რა დასკვნა წარუდგინა მან უმაღლეს სახ. სამ. საბჭოს.

ავიღოთ მეორე მაგალითად თამბაქოს წარმოების გამოკვლევის კომისია, რა მდგომარეობაშია დღეს თამბაქოს წარმოების საქმე, რომელმაც უნდა აძლიოს ჩვენს რესპუბლიკას სავალიუტო საქონელი, რა გამოიკვლია ამ დარგში კომისიამ და რა დასკვნა წარუდგინა მან უმაღ. სახ. სამ. საბჭოს დიდათ საჭიროა, რომ ამ საქმის ასე თუ ისე მდგომარეობა იცოდეს ფართო წრეებმა.

შეიძლება უმაღ. სახ. სამეურნეო საბჭოს ახედვილობაში აქვს გაეკეთოს საზოგადო მოხსენება საერთოდ კომისიების მუშაობაზე, მაგრამ მიუხედავათ ამისა საინტერესოა გავიგოთ, თუ რომელმა კომისიამ როგორ გამოიკვლია საქმე, რა დასკვნა წარუდგინა უმაღ. სახ. სამ. საბჭოს და გაუწია თუ არა ამ უკანასკნელმა რაიმე ანგარიში კომისიების მოხსენებას.

ნუ თუ კომისიების მუშაობა ფუჭად უნდა ჩაიაროს?

მაშ, რას ნიშნავდა კომისიების სასწრაფოდ დანიშვნა?

—კ—.

# † თედო რაზიკაშვილი

სოფ. ხელთუბნიდან ფრიად ალმაშფოთებელი ამბავი მივიღეთ. სიცოცხლე მოუსპიათ ქართველი მცხოვრებ მწერლის თედო რაზიკაშვილისათვის. ქართულ სახალხო ზეპირ სიტყვიერების ერთი თავდადებული ენერგიული მუშა მოუწყვიტეს ცხოვრებას, ჯერ კიდევ კარგი მერმისის მქონე ადამიანთ.

საბავშვო დარიბ ლიტერატურას დააკლდა ნიჭიერი კალმოსნის ხელი.

ახალგაზრდა მთა სულიერ საზრდოს შემქნელ მცირე ჯგუფს ჩამოსცილდა გონიერი თავიანთ ისეთი სახალხო მწერლები, როგორც თედო იყო იშვიათია ქართულ მწერლობაში. ჩვენში ყველაზე უფრო შეუსწავლელი ლიტერატურის დარგში, სახალხო ზეპირი სიტყვიერებაში.

ზღაპრები-არაკები—ლექსები, ლეგენდები და მრავალი თქმულებანი, რომელიც შეუქმნია ქართველი ერის გონიერებას და სიბრძნეს უხსოვარ დროიდან და რომელიც მარგალიტებივით გაბნეულია საქართველოს განაპირა კუთხეებში ჯერ შეუსწავლელია და მეცნიერულად დაუმუშავებელი. და ეს იმიტომ, რომ ჩვენდა სასირცხოთ სულ მცირედი ნაწილიც ასეთ განძთა არ არის შეკრებილი და ჩაწერილი.

თედო რაზიკაშვილი ერთი თვალსაჩინო მოჭირნახულე იყო ასეთი სახალხო სიბრძნის წარმოებათა შეგროვებისა იგი დადიოდა ქართლის სოფლებში და ჰკრეფდა მათ. გამოსცა ორი წიგნი, რომელიც დიდ განძს წარმოადგენს ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის. მას მრავალი გადასასუშავებელი ხელთნაწერები ქონდა ამ დარგში მაგრამ შავი არდილის სახეებმა ულმობელად მოსტეხეს მისი, ჯერ კიდევ ენერგიით სავსე სხეული.

ვიღაც გატიალებულმა ბოროტმა მხარამა გ ბედა და ხელი შეახო ჩვენი ლიტერატურის ერთ მუშაკს. ამაზე შორს არ წავა უკნურის შავი კადნიერება. ჩვენთვის ჯერ სრულიად გაურკვეველია ეს საქმე და საჭიროა სასტიკი გამოძიება.

ქართველმა მოზარდმა თაობამ დაჰკარგა ერთი სულიერი მამა, მას მოუკვდა „მომავალი თედო—იგი მოსწყდა იედოს ტკბილ ენას, გონიერ დარიგებას, მახვილ აზრს.

ტყუილად განუზრახავთ ბნელ არდილებს თედო რაზიკაშვილის სიკვდილი. მ.ნ სამარადისო ძეგლი უკვე ლაიდგა უკვდავთა შორის.

გ. თავზარაშვილი.

# საქართველოს კომუნისტურ პარტიის პირველი ლეგალური ყრილობის დამსწრეთა საყურადღებოდ.

წერილი რედაქციის მიმართ.

ამა წლის 20 იანვარს წინადადება მივიღე სახალხო განათლების კომისარიატის მთავარ პოლიტიკურ განყოფილების უფროსისაგან შემედგინა გუნდი და სიმებიანი ორკესტრი საქართველოს კომუნისტურ პარტიის 1-ლ ლეგალურ ყრილობაზე „ინტერნაციონალის" საზეიმოდ შესრულებისათვის.

დაუყოვნებლივ შევუდექი საქმეს და გადადებულ თახხის ფარგლებში მოვიწვიე საუკეთესო დამკვრელნი (22 კაცი) და ქართული აკადემიური გუნდი მთელი თავისი შემადგენლობით (50 ქალვაჟი).

ამგვარი სამუსიკო ძალთა განწყობილება სრულიად საკმაო იყო, რომ „ინტერნაციონალი" ჯეროვანი სიმძლავრით გამოსულიყო, მაგრამ ეს ასე არ მოხდა და ჩემი ანსამბლი უმწყობროდ ჩატარდა.

ამის მიზეზი იყო არა სამუსიკო ძალთა სიმცირე და სისუსტე, არამედ შემდეგი:

22 იანვარს ავად გახდა ჩემი ოჯახის ერთი წევრთაგანი, ქართული ლაშქრის ოფიცერი დ. კელენჯერიძე, თავის მაქ ით მოყმბლის ხიზნებით.

ვერ მოვასწარი მისი საავადმყოფოში მიყვანა, რომ სახლში მძიმე ავად დამხვდა ჩემი ერთად-ერთი პაწია ქალიშვილი.

საავადმყოფოში და ექიმებთან სირბილში ვერც რეპეტიციები ვაწარმოვე, ვერც ნოტების დამზადება მოვასწარ და ნერვების აშლით ვერც ის მოვიგონე და მოვახერხე, რომ ჩემს მაგიერ სხვა დირიჟორი მომეწვია.

სწორეთ 23 იანვარს ნაშუადღევის 2 საათზე კიდევ უფრო დიდი მეხი დამეცა და ჩემი ავადმყოფი დ. კელენჯერიძე გარდაიცვალა.

ამავე დღეს საღამოს 5 საათიდან ჩემ ბავშვსაც ავადმყოფობამ უმატა და უმაღლესი ზომის სიცხე მისცა.

მიუხედავად ჩემი ასეთი ტრაგიკული მდგომარეობისა, როდესაც კაცს ბუნებრივად აღარ ემღერება-ეზეიმება, მე მაინც გადავლახე ეს დაბრკოლება, პირად საქმეს საზოგადო ინტერესები და ბიცემული სიტყვის ასრულება ვამჯობინე, სრულიად უპატრონოდ ჯავსტოვე მტირალი ოჯახი და ყრილობაზე გამოვცხადდი სალოტბაროდ.

პირველ აკორდიდანვე შევნიშნე, რომ ანსამბლს მწყობრობა აკლდა და მაშინვე მივხვდი, რომ ამის მიზეზი თვითონ მე ვიყავი, ჩემი აშლილი ნერვებით და არა ხორო და ორკესტრი.

მეორე ნომრად დავუკრავენს სამგლოვიარო მარში, რომლის საჭიროებას ჩვენ არ მოველოდით და ამისათვის არც ნოტები გვქონდა თეატრში მოტანილი. მარში ორკესტრმა ზეპირად და უკრა და რასაკვირველია როგორც მასსიურმა ექსპრომტმა ჯეროვანი შთაბეჭდილება მწყობრობის მხრით ვერ მოახდინა.

ამ მარშის დაკვრამ, რომელსაც მე არ მოველოდი, მთელი თავისი შინაარსით დამწვარზე მდუღარე დამასხა, ჩემი ტრაგედია მთელი თავისი სიმწვავით წინ გადმომეშალა და მეც შემოჭმული ნერვები სრულიად მომიშხა.

ამ დროს თეატრში მიხრობილი მოვიდა ჩემი სახლიდან, ბავშვი ძლიერ ცუდად არის და ექიმია ეხლავე საჭიროო.

ერთხელ კიდევ შევსძელ „ინტერნაციონალის" ლოტბარობა და შემდეგ ისე ცუდად შევიქენ, რომ ადგილზე წაქცევის შემეშინდა, დირიჟორობა ორკესტრის კონცერტმეისტერს გადავეცი და სრულიად ინსტიქტიურად თეატრიდგან ავადმყოფი შვილის დასახმარებლად გავიქეცი.

პოლიტიკურ მოღვაწეთა თვალსაზრისით შეიძლება სასჯელის ღირსიც ვიყო, რომელიც, მზად ვარ უსიტყვოდ მივიღო...

მაგრამ ეს კი ვიცი, რომ ხალხი და ჩემი ხელოვნება, რომელსაც მე ვემსახურები შემოდასახელებულ პირობების მიხედვით, მე უსათუოდ გამამართლებს.

წესისამებრ ამა სოფლისა ღრმა ბოდიშს ვიხდი მათ წინაშე, ვისი ზეიმიც ვერ ვაზეიმე.

ხოლო თქვენ ხალხნო და წინამძღოლნო, უკეთუ განსაკითხავ ვარ დამსაჯეთ მსაჯულად და განმიკითხეთ.

კომპოზიტორი ქ. ფოცხვერაშვილი.

26 იანვარი 1922 წ.

# † ალექსანდრე ჯიბლაძე

იანვრის 24-ს, დაბა სურამში გარდაიცვალა სტუდენტი საშა ჯიბლაძე. საშა იყო გურული ღარიბი ოჯახის შვილი. საშუალო განათლება დაასრულა, ხალხის დახმარებით, ფოთის გიმნაზიაში 1917 წელს. ამ წლიდან ის თავისი ახალგაზრდული ენერგიით უდგება ხალხის სამსახურს, სულ ცოტა ხანში ის ხდება ხალხის საყვარელ შვილად, „ძვირფასად საშად". მას ვხედავთ სუფსის სცენის მოყვარეთა ნიჭიერ ხელმძღვანელად, პოლიტიკურ და პედაგოგიურ ასპარეზზე მოღვაწედ და ბოლოს მწერლობის ასპარეზზე; ქართულ ჟურნალ-გაზეთებში გაბნეულ სხვა და სხვა შინაარსის წერილებს გარდა, მის კალამს ეკუთვნის გურიის ცხოვრებიდან დრამა „ტოლია", რომელშიაც ნიჭიერად არის დახატული გურიის ცხოვრების მსოფლიო ომის შემდეგი სინამდვილის ეპიზოდები, ეს წიგნი დაიბეჭდა 1919 წელს ცალკე წიგნად დიდ იმედს იძლეოდა ახალგაზრდა საშას მრავალფეროვანი ნიჭი. ულმობელმა სენმა არ დააცალა მის ნიჭს განვითარება და ხალხის სამსახური... მშვიდობით ძვირფასო საშა, სამუდამოდ დაუვიწყარია შენი ნათელი სახე მეგობარ-ნათესავებისათვის...

ნაპერწკალი.

# ბრძანება № 94

საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის 1922 წლის იანვრის 23-ს დადგენილებით დანიშნულ არიან:

1) ამხ. სამსონ კარტოზია—იუსტიციის სახალხო კომისარის მოადგილეს თანამდებობის დროებით აღმსრულებლად და 2) ამხ. პარმენ გედევანიშვილი—იუსტიციის სახალხო კომისარიატის კოლეგიის დროებითი წევრად.

საქართველოს ს. ს რ. რევოლიუციონურ კომიტეტის თავმჯდომარე ბ. მდივანი.

რევკომის მდივანი ალ. ხალარიძე.

1922 წ. იანვრის 23-ს.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი— მთავარი კომიტეტი.

**დაიკარგა** სახელმწიფო უნივერსიტეტის სალექციო წიგნაკი № 2052 ვლადიმერ გიორგის ძე ხახუცრიშვილისა. ჩაითვალოს გაუქმებულად. 194

ექიმი
**ნ. ა. არუთინოვა**
განახლდა მიღება
სპეციალურად სიფილისი, სუსუნატი და მისი შედეგები; საქ ობრივი დაუძლურება. მიღება საღამოს 4—7 საათ. სოლოლაკი. ცეცხლმქრობელ რაზმის ქუჩ. ახალბებუთოვის ქ. № 5.
(Новобебутовская.) 1